



შპს სკოლა „კორიზონტი“
საღაც ხოდნა ღრმადუბა - პერსონაჟიზა ჟარტოვდუბა

შპს სკოლა
„კორიზონტი“
ლაბორატორიით
სარგებლობის წესი

მუხლი 1. მოქმედების სფერო

1.1. წინამდებარე დოკუმენტი — ლაბორატორიით სარგებლობის წესი (შემდგომში — „წესი“) არეგულირებს შპს სკოლა „ჰორიზონტის“ (შემდგომში — „სკოლა“) სარგებლობაში არსებული ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ლაბორატორიითა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიით სარგებლობის პირობებს.

1.2. ლაბორატორიები ემსახურება სკოლაში საგაკვეთილო, საინფორმაციო, კვლევით და ექსპერიმენტულ მუშაობას, ქმნის პოზიტიურ სასწავლო გარემოს და ხელს უწყობს სასწავლო პროცესის აკადემიური ხარისხისა და მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებას.

1.3. წინამდებარე წესის დაცვა სავალდებულოა სკოლის მოსწავლეებისათვის, მასწავლებლებისათვის, ადმინისტრაციისა და სხვა თანამშრომლებისათვის, ასევე იმ პირებისათვის, რომლებიც უფლებამოსილი პირის ნებართვით სარგებლობენ სკოლის ლაბორატორიებით.

მუხლი 2. ლაბორატორიით სარგებლობის მიზნები და ამოცანები

2.1. ლაბორატორიების გამოყენების ძირითადი მიზანია თანამედროვე ტექნოლოგიებისა და პრაქტიკული რესურსების გამოყენებით სასწავლო-სააღმზრდელო პროცესის ეფექტურად წარმართვა, საგნობრივი პროგრამების მიზნების მიღწევის ხელშეწყობა და მოსწავლეებში გამჭოლი კომპეტენციების განვითარება.

2.2. ლაბორატორიით სარგებლობის ამოცანებია:

ა) მოსწავლეებისთვის პრობლემური და საინტერესო საკითხების პრაქტიკული განხილვის შესაძლებლობის შექმნა;

ბ) სხვადასხვა საგანმანათლებლო აქტივობის ორგანიზება მოსწავლეთა პრაქტიკული და თეორიული უნარების განვითარებისათვის;

გ) მოსწავლეთა გონებრივი და ფიზიკური უნარ-ჩვევების განვითარება და აუცილებელი ცოდნით უზრუნველყოფა;

დ) საგაკვეთილო, სადემონსტრაციო, კვლევითი და ექსპერიმენტული საქმიანობის უსაფრთხოდ და ორგანიზებულად წარმართვა.

მუხლი 3. ძირითადი პრინციპები და ფუნქციები

3.1. ლაბორატორიით სარგებლობა ეფუძნება ხელმისაწვდომობის, თანასწორობის, უსაფრთხოების, პასუხისმგებლიანი გამოყენებისა და აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპებს.

3.2. სკოლის ლაბორატორიებით სარგებლობა თანაბრად ხელმისაწვდომია სკოლის ყველა მოსწავლისათვის, მასწავლებლის ან პასუხისმგებელი პირის ზედამხედველობით.

3.3. სკოლა უზრუნველყოფს ლაბორატორიებით სარგებლობის წესების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობას სასკოლო საზოგადოებისათვის.

3.4. საჭიროების შემთხვევაში, სკოლა ხელს უწყობს სხვა საგანმანათლებლო ან კვლევით სივრცეებთან თანამშრომლობასა და გამოცდილების გაზიარებას.

მუხლი 4. ლაბორატორიაში არსებული ინვენტარის გამოყენება და დაცვა

- 4.1. დაუშვებელია ლაბორატორიაში არსებული ინვენტარის, ტექნიკის, მასალისა და სხვა სასწავლო რესურსის დაზიანება ან არამიზნობრივი გამოყენება.
- 4.2. დაუშვებელია ლაბორატორიიდან ინვენტარის, ხელსაწყო, ტექნიკის ან სხვა რესურსის გატანა პასუხისმგებელი პირის ან მასწავლებლის ნებართვის გარეშე.
- 4.3. დაუშვებელია მოსწავლის მიერ ლაბორატორიით დამოუკიდებლად, მასწავლებლის ან პასუხისმგებელი პირის გარეშე სარგებლობა.
- 4.4. ლაბორატორიაში არსებული რესურსის დაზიანების შემთხვევაში დამზიანებელი პირი ან მოსწავლის მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი ვალდებულია ანაზღაუროს მიყენებული ზიანი, თუ დაზიანება გამოწვეულია დაუდევრობით ან განზრახი ქმედებით.

მუხლი 5. ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ლაბორატორია

- 5.1. ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ლაბორატორია აღჭურვილია კომპიუტერული და ქსელური მოწყობილობებით და განკუთვნილია სასწავლო პროცესში მოსწავლეთა თეორიული ცოდნის მიღებისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარებისათვის, ასევე სკოლის თანამშრომელთა საქმიანობის ეფექტურად წარმართვისათვის.
- 5.2. ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ლაბორატორიაში განთავსებული კომპიუტერული ტექნიკა გამოიყენება საგაკვეთილო, სადემონსტრაციო, საგამოცდო და სასწავლო მიზნებისათვის.
- 5.3. კომპიუტერით სარგებლობისას დაშვებულია:
 - ა) ტექსტის შეყვანა და რედაქტირება;
 - ბ) ინტერნეტით სასწავლო მასალების მოძიება და გადმოწერა;
 - გ) ლიტერატურაზე მუშაობა ელექტრონული ვერსიებით;
 - დ) ელექტრონული ფოსტით სარგებლობა;
 - ე) სასწავლო პროგრამებზე მუშაობა;
 - ვ) უფლებამოსილ პირთან შეთანხმებით გარე მეხსიერების/დისკის გამოყენება;
 - ზ) სკოლის ვებგვერდითა და სხვა საგანმანათლებლო ელექტრონული რესურსებით სარგებლობა.
- 5.4. კომპიუტერთან მუშაობისას აკრძალულია:
 - ა) მასწავლებელთან ან პასუხისმგებელ პირთან შეთანხმების გარეშე კომპიუტერში პროგრამული ფაილის ჩაწერა, წაშლა ან სისტემური პარამეტრების შეცვლა;
 - ბ) კომპიუტერის გამოყენება თამაშებისა და სხვა არასასწავლო/გასართობი მიზნებისათვის;
 - გ) კომპიუტერის გაუმართავად მუშაობის შემთხვევაში ხარვეზის თვითნებურად გასწორება.
- 5.5. ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ლაბორატორიაში ტექნიკის ან ნივთის დაზიანების შემთხვევაში ზიანი ანაზღაურდება კანონმდებლობითა და სკოლის შიდა წესებით დადგენილი წესით, თუ დაზიანება გამოწვეულია მოსწავლის ან სხვა მომხმარებლის დაუდევრობით ან განზრახი ქმედებით.

მუხლი 6. საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია

- 6.1. სკოლას აქვს საბუნებისმეტყველო მეცნიერებების (ქიმიის, ბიოლოგიისა და ფიზიკის) ლაბორატორია, რომელიც აღჭურვილია შესაბამისი ტექნიკური მოწყობილობებითა და საგანმანათლებლო რესურსებით.
- 6.2. ლაბორატორიაში წარმოდგენილია ფიზიკის საექსპერიმენტო ხელსაწყოები და ფიზიკური მოვლენის ამსახველი თვალსაჩინოებები, რომლებიც ხელს უწყობს მოსწავლეებს ფიზიკური მოვლენების ახსნაში, ექსპერიმენტის ჩატარებასა და ახალი საექსპერიმენტო მოდელის შექმნაში.

6.3. ლაბორატორიაში წარმოდგენილია ქიმიის აღჭურვილობა, მათ შორის რეაქტივები, კოლბები და სხვა ინვენტარი, რომლის გამოყენებით მოსწავლეებს ეძლევათ სასკოლო პროგრამით გათვალისწინებული ცდების ჩატარების შესაძლებლობა.

6.4. ბიოლოგიის მიმართულებით ლაბორატორია აღჭურვილია ადამიანის ორგანოების მულაჟებით, მიკროსკოპითა და მრავალფეროვანი თვალსაჩინოებებით. მოსწავლეებს შეუძლიათ მიკროსკოპით მუშაობა და სხვადასხვა ექსპერიმენტის ჩატარება.

თავი III უსაფრთხოების ზოგადი წესები

მუხლი 7. საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიით სარგებლობის უსაფრთხოების წესები

7.1. ლაბორატორიის მომხმარებელი ვალდებულია გამოიყენოს შესაბამისი აღჭურვილობა მისი მოხმარების ინსტრუქციისა და მასწავლებლის მითითებების დაცვით.

7.2. გაკვეთილის მიმდინარეობისას ლაბორატორიის კარი უნდა დაიხუროს.

7.3. ექსპერიმენტის/ცდის დაწყება შესაძლებელია მხოლოდ მასწავლებლის მიერ ლაბორატორიულ ამოცანაზე დაშვების მიღების შემდეგ.

7.4. ლაბორატორიულ ამოცანაზე დაშვების მისაღებად მოსწავლე მასწავლებლისგან უნდა გაეცნოს ლაბორატორიული ამოცანის აღწერასა და მისი შესრულების უსაფრთხოების წესებს.

7.5. ყოველი ცდის ჩატარების დროს გამოყენებული უნდა იქნეს ერთჯერადი ხელთათმანები. ხელთათმანები უნდა გადაიყაროს ცდის დასრულებისთანავე ლაბორატორიაში განთავსებულ სანაგვე ურნაში.

7.6. დაუშვებელია ცდის ჩატარება დამცავი სათვალის გარეშე.

7.7. სამუშაოს დასრულების შემდეგ მასწავლებელმა/მოსწავლემ უნდა გამორთოს ხელსაწყო, მოწესრიგებულად დატოვოს სამუშაო ადგილი და ლაბორატორია.

7.8. აწყობილი ხელსაწყოს ჩართვამდე მოსწავლე ვალდებულია მასწავლებელს აჩვენოს მომზადებული დანადგარი და, საჭიროების შემთხვევაში, ექსპერიმენტის/ცდის მიმდინარეობის ჩასაწერად მომზადებული დაკვირვების ფურცელი.

7.9. თხევადი და მყარი სხეულების გახურებისას დაუშვებელია ჭურჭელში ზემოდან ჩახედვა.

7.10. დაუშვებელია ლაზერის სხივის ან მისი ანარეკლის თვალში მიმართვა, რადგან ამან შეიძლება გამოიწვიოს თვალის დაზიანება და მხედველობის დაკარგვაც კი.

7.11. დაუშვებელია ცდის ჩატარების დროს მოსწავლის ან/და მასწავლებლის მიერ ცდისათვის საჭირო მასალის თვალბთან ან პირთან ახლოს მიტანა.

7.12. ყოველი ცდის ჩატარების შემდეგ საჭიროა გამოყენებული ჭურჭლის გარეცხვა.

7.13. სპირტქურასთან ახლოს ადვილად აალებადი სხეულების, მაგალითად ქაღალდის, დადება არ შეიძლება.

7.14. დაუშვებელია ცდის მსვლელობისას გაცხელებული ჭურჭლის შენახვა მის გაცივებამდე.

7.15. აუცილებელია თითოეული ინციდენტის ადეკვატური შეფასება და ზედამხედველობის დაწესება.

7.16. თუ ცდის ჩატარებისას მოსწავლეს ან/და მასწავლებელს რომელიმე ნივთიერება შემთხვევით კანზე მოხვდება, აუცილებელია კანის საპნიანი წყლით დამუშავება და სკოლის ექიმთან კონსულტაციის გავლა.

7.17. ლაბორატორიაში დაცული უნდა იყოს სანიტარული ნორმები.

7.18. მინის საგნების გატეხვის შემთხვევაში აუცილებელია ლაბორატორიის სასწრაფოდ გასუფთავება მინის ნარჩენებისაგან.

7.19. სამუშაო ზონაში აკრძალულია საკვებისა და სასმელის მიღება, ასევე პირადი ნივთების შენახვა.

7.20. ლაბორატორია უნდა იყოს სუფთა და მოწესრიგებული. დაუშვებელია ცდის ჩატარების დროს მაგიდაზე განთავსებული იყოს ისეთი ნივთიერებები, რომლებიც ცდისათვის არ გამოიყენება.

7.21. სამუშაოს შესრულების შემდეგ, ლაბორატორიიდან გასვლამდე, მოსწავლე ვალდებულია დაიბანოს ხელები.

7.22. ინფორმაცია უბედური შემთხვევის ან აშკარა პოტენციური დაზიანების/საფრთხის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს სკოლის დირექტორს ან საგანგებო სიტუაციებზე პასუხისმგებელ პირს.

7.23. ლაბორატორიაში აღჭურვილობის დაზიანების შემთხვევაში მოსწავლის მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი ან დამზიანებელი პირი ვალდებულია სკოლას აუნაზღაუროს მიყენებული ზიანი, გარდა იმ შემთხვევისა, თუ დაზიანება გამოწვეულია ექსპერიმენტის/ცდის ჩატარებისას.

თავი IV პასუხისმგებელი პირები და პასუხისმგებლობა

მუხლი 8. ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ლაბორატორიის ხელმძღვანელი პირი

8.1. ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ლაბორატორიას ხელმძღვანელობს კომპიუტერული ტექნოლოგიების მასწავლებელი ან სკოლის დირექტორის მიერ განსაზღვრული პასუხისმგებელი პირი, რომელიც ვალდებულია წინამდებარე წესი გააცნოს ლაბორატორიის მომხმარებლებს.

8.2. ლაბორატორიის ხელმძღვანელი პირის ფუნქციებია:

ა) უზრუნველყოს ლაბორატორიის მოვლა-პატრონობა და უსაფრთხოების წესების დაცვა;

ბ) კომპეტენციის ფარგლებში ხელი შეუწყოს სკოლაში სასწავლო პროცესს;

გ) კოორდინირებული სასწავლო პროცესის დანერგვისა და განხორციელების მიზნით გააკონტროლოს ლაბორატორიის გამოყენება და მასწავლებლებთან შეთანხმებით შეადგინოს მუშაობის გრაფიკი;

დ) საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოს ლაბორატორიის მომზადება სასწავლო/პრაქტიკული სამუშაოების ჩასატარებლად.

მუხლი 9. საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიის ხელმძღვანელი პირი

9.1. საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიას ხელმძღვანელობს საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრის ხელმძღვანელი ან სკოლის დირექტორის მიერ განსაზღვრული პასუხისმგებელი პირი, რომელიც ვალდებულია წინამდებარე წესი გააცნოს ლაბორატორიის მომხმარებლებს.

9.2. საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიის ხელმძღვანელი პირის ფუნქციებია:

ა) უზრუნველყოს ლაბორატორიის მოვლა-პატრონობა და უსაფრთხოების წესების დაცვა;

ბ) კომპეტენციის ფარგლებში ხელი შეუწყოს სკოლაში სასწავლო, კვლევითი და ლაბორატორიული პროცესების ნორმალურად წარმართვას;

გ) კოორდინირებული სასწავლო პროცესის განხორციელების მიზნით გააკონტროლოს ლაბორატორიის გამოყენება და მასწავლებლებთან შეთანხმებით შეადგინოს მუშაობის გრაფიკი;

დ) საჭიროების შემთხვევაში დახმარება გაუწიოს საგნის მასწავლებელს ლაბორატორიაში გაკვეთილის ჩატარების დროს.

მუხლი 10. მოსწავლისა და მასწავლებლის პასუხისმგებლობა

10.1. მასწავლებელი, მოსწავლე და ლაბორატორიის სხვა მომხმარებელი ვალდებულია დაიცვას წინამდებარე წესით დადგენილი მოთხოვნები და მასწავლებლის/პასუხისმგებელი პირის მითითებები.

10.2. ლაბორატორიით სარგებლობის წესების დარღვევის შემთხვევაში პირს შეიძლება დაეკისროს სკოლის შინაგანაწესითა და მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული პასუხისმგებლობა.

თავი V დასკვნითი დებულებები

მუხლი 11. წესის მიღება და მასში ცვლილებების შეტანა

11.1. სკოლის ლაბორატორიით სარგებლობის წესს შეიმუშავენ და ბრძანებით ამტკიცებს სკოლის დირექტორი.

11.2. წინამდებარე წესის მიღება, გაუქმება, მასში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება სკოლის დირექტორის ბრძანების საფუძველზე.